სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასოცირებული პროფესორის (ერთი საშტატო ერთეული, „ა“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად რექტორის 2023 წლის 11 დეკემბრის № 311/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 25 დეკემბრის № 122/2023 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი, კორექტირებული)

ქ. თბილისი „29“ იანვარი 2024 წ.

15[00] საათი, თსუ VIII კორპუსი, აუდიტორია № 226

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 5-ვე წევრი:

ა) ივანე ლეჟავა – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) მერაბ ნაჭყებია – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) თინათინ ბოლქვაძე – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);

დ) რუსუდან ასათიანი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ე) მარინე ივანიშვილი – თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასოცირებული პროფესორის („ა“ კატეგორია) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება;
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ივანე ლეჟავას ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასოცირებული პროფესორის (ერთი საშტატო ერთეული, „ა“ კატეგორია) 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა – **ზურაბ ბარათაშვილმა.**

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით წერილობით დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საბუთები.

ზურაბ ბარათაშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო საშუალო შეფასება (იხ. ოქმი №2).

კონკურსანტმა ზურაბ ბარათაშვილმა დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის განყოფილება (2003-2007), შემდეგ სწავლა განაგრძო ძველი ენებისა და ცივილიზაციების სამაგისტრო პროგრამაზე (2007-2010), ხოლო 2011 წელს გახდა თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ს/ს ინსტიტუტის დოქტორანტი; ამავე პერიოდში (2015-2016) დაამთავრა მეორე მაგისტრატურა (აღმოსავლეთმცოდნეობისა და აფრიკანისტიკის სკოლა, ლონდონის უნივერსიტეტი) საველე ენათმეცნიერების მიმართულებით. დოქტორის ხარისხი მიიღო თბილისში 2018 წელს („გარდამავლობა, ვალენტობა ზმნის აქტანტური სტრუქტურები შუმერულ ენაში").

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის წლების განმავლობაში ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში. წარმოდგენილი სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ მოქმედ მოთხოვნებს.

წარმოდგენილ კონცეფციაში მას კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და დამაჯერებლად მსჯელობს, მისი ლინგვისტური ინტერესების, გაწეული საქმიანობისა და მომავალი გეგმების შესახებ. ეს ნათლად ჩანს „კონკურსანტის შეფასების ფორმაში" (დანართი №4)

ზურაბ ბარათაშვილის სამეცნიერო ნაშრომები მრავალმხრივ მნიშვნელოვანია თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ს/ს ინსტიტუტის საქმიანობისათვის. იგი მუშაობს არა მარტო ქართული ენის საკითხებზე, არამედ ძველი ენების, კონკრეტულად კი, შუმერულისა და თანამედროვე უმწერლობო ენების, კონკრეტულად პაპუასურ – იპიკო ენაზე. ინტერესთა ასეთი ფართო სფერო მას საშუალებას აძლევს გააკეთოს ღირებული დასკვნები როგორც ტიპოლოგიური, ისე არეალური თვალსაზრისით. შუმერული ენა იყო მისი სადოქტორო დისერტაციის თემა, რომელიც შემდეგ მონოგრაფიად გამოსცა. მისი ნაშრომი შუმერული ენის შესახებ ავსებს აბრაამ იაგერსმას „შუმერულის დესკრიფციულ გრამატიკას" (2010) გარდამავლობისა და ვალენტობის საკითხებში.

ზურაბ ბარათაშვილი მონაწილეობს საველე საქმიანობაში. იგი პაპუა ახალ გვინეაში იკვლევს იპიკო ენას, მან მიიღო ძალიან მნიშვნელოვანი დაფინანსება (2019-2021) - საფრთხეში მყოფ ენათა დოკუმენტაციის პროგრამის (ELDP) ინდივიდუალური სადოქტორო სტიპენდია (ლონდონი, ბერლინი), 2022 წელს კი ავსტრალიაში საველე საქმიანობისათვის გამორჩეული დაფინანსება – სტივენ და ჰელენ ვურმების სადოქტორო სტიპენდია აღმოსავლეთ აზიისა და ოკეანეთის ლინგვისტიკაში. ოთხი წელი, 2019-დან 2023 წლამდე, იგი იყო ავსტრალიის ეროვნულ უნივერსიტეტში. ზურაბ ბარათაშვილი მიზნად ისახავს იპიკო ენის აღწერითი გრამატიკის შექმნას, რითაც წვლილს შეიტანს პაპუასური ენების აღწერაში და თეორიულ ენათმეცნიერებას შემატებს ახალ გრამატიკულ ნაშრომს, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება როგორც ტიპოლოგიისათვის, ასევე ტრანსახალგვინეური ენების ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების განვითარებისათვის (განსაკუთრებით ანიმ ენათა ჯგუფის ისტორიისათვის).

ამგვარი ნაშრომი ახლებურ ხედვასა და გამოცდილებას ჰმატებს თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ს/ს ინსტიტუტს.

ზურაბ ბარათაშვილი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში და კითხულობს მოხსენებებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. მისი ცოდნა და გამოცდილება აისახება მის პედაგოგიურ აქტივობაშიც: 2013 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლის სხვადასხვა ენათმეცნიერულ საგანს. მის აკადემიურ შესაძლებლობაზე მეტყველებს იმ კურსების ჩამონათვალი, რომელთა წაკითხვაც შეუძლია კონკურსანტს (ბაკალავრიატში – ენათმეცნიერების შესავალი, ზოგადი ენათმეცნიერება, ექსპერიმენტული ფონეტიკა და მეტყველების ამოცნობა, მაგისტრატურაში – ზოგადი ფონეტიკა და ფონოლოგია, ექსპერიმენტული ფონეტიკა). მაგისტრატურაში შემოიტანა ორი ახალი საგანი (საველე მეთოდები, ანთროპოლოგიური ლინგვისტიკა), რომელიც მანამდე არ იყო კურიკულუმით გათვალისწინებული. მისი პროფესიონალიზმისა და პიროვნული თვისებების გამო სტუდენტებისათვის ერთ-ერთი საყვარელი ლექტორია.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში სიახლეების ძიება გვარწმუნებს, რომ იგი ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას ენათმეცნიერებაში და საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას. საკონკურსო ანკეტაში მითითებული 9 ნაშრომიდან 1 მონოგრაფიაა, 1 იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში დაბეჭდილი სტატია, 2 საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში დაბეჭდილი სტატია, ხოლო 5 ადგილობრივ რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალშია დაბეჭდილი. მითითებული კონფერენციებიდან 4 სამეცნიერო თეზისია წარმოდგენილი საერთაშორისო საკონფერენციო მასალებში. ნაშრომები შესრულებულია მაღალ სამეცნიერო დონეზე და სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას.

ზურაბ ბარათაშვილი მუდმივად მონაწილეობს სხვადასხვა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგში. ანკეტაში მითითებულია 23 ასეთი ტრენინგი, რომლებიც ჩატარდა როგორც საქართველოში, ასევე ევროპის ქვეყნებსა და ავსტრალიაში.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, უცხოური ენების ფლობის დონით და თავისი სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს შეუძლია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. მისი მიზანდასახულობა და სამეცნიერო-კვლევითი გეგმა შეესაბამება საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილს. არის გამოცდილი კადრი მოქალაქეობრივი და აკადემიური ღირებულებებით, რომლის მიღება საუნივერსიტეტო სივრცეში არის უნივერსიტეტის სამომავლო განვითარების ხელშემწყობი პირობა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულად შეესაბამება ვაკანსიის მოთხოვნებს (ოქმი №3).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი **ზურაბ ბარათაშვილის** კანდიდატურას. ზურაბ ბარათაშვილის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე არჩევა შემოიტანს ახალ ცოდნას არეალური და საველე ენათმეცნიერების მიმართულებით. მისი ახალი სალექციო კურსი საველე ენათმეცნიერებაში სტუდენტებს თეორიულად და პრაქტიკულად ასწავლის ისეთ მეთოდებს, რომლებიც აქამდე არცერთ სხვა სალექციო კურსში განხილული არ იყო. ეს ახალი სასწავლო დისციპლინა ხელს შეუწყობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციას უმწერლობო და ნაკლებად გავრცელებული ენების კვლევის მიმართულებით. ზურაბ ბარათაშვილის, როგორც ძველი მკვდარი ენების მკვლევრის,

კერძოდ, შუმერულის შესახებ მონოგრაფიის ავტორობა და ამ ენაზე შექმნილი ტექსტების დამუშავება თანამდროვე კორპუსული ლინგვისტიკის მეთოდებით თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრას მისცემს საშუალებას ჩაერთოს ისეთ საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, რომლებიც გულისხმობს სხვადასხვა მიმართულების ენათმეცნიერთა ერთობლივ შრომასა და კვლევის შედეგების უნიფიცირებას ტიპოლოგიისა და შედარებითი ენათმეცნიერების თვალსაზრისით. ზურაბ ბარათაშვილი ათი წელია თანამშრომლობს თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრასთან. ამ ხნის მანძილზე მან თავი გამოავლინა როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებამ და დაიმსახურა სტუდენტებისა და კოლეგების პატივისცემა.

ერთხმად დაადგინეს:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის ასოცირებული პროფესორის (ერთი საშტატო ერთეული, „ა“კატეგორია) 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად ერთხმად გამოვლინდა **ზურაბ ბარათაშვილი;**
2. გადაეცეს კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე:		/ივანე ლეჟავა/
მოადგილე:		/მერაბ ნაჭყებია/
კომისიის მდივანი:		/თინათინ ბოლქვაძე/
წევრები:		/რუსუდან ასათიანი/
		/მარინე ივანიშვილი/

თარიღი: 7.02.2024